# ბახტრიონი

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04.

№ 25 | ოთხშაბათი 3 იანვარი 1923 წ. | ფასი 10.000 მ.


## 1923 წ.

1923 წ. წელიწადი მეორე

## „ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი“

1923 წ. წელიწდი მეორე

### ყოველ-კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

გაზეთში თანამშრომლობას ეწევიან ყველა ძალები **ახალი ქართული კულტურის**

იმ საგანგებო ნომრების გარდა, რომელიც გაზეთ „ბახტრიონმა“ შარშან გამოსცა („ვაჟა-ფშაველა“, „ნიკო ფიროსმან“, „ილია ჭავჭავაძე“, „იაკობ ნიკოლაძე“, „არტურ ლეისტ“) წლის განმავლობაში გამოშვებული იქნება სპეციალური ნომრები:

1. ივანე მაჩაბელი
2. გრიგოლ რობაქიძე
3. გიორგი სააკაძე
4. კანცლერი ლეონიძე
5. ნიკო ნიკოლაძე
6. გრიგოლ ორბელიანი
7. გიორგი მთაწმინდელი
8. ბექა ოპიზარი
9. საბა-სულხ. ორბელიანი
10. სოლომონ დოდაშვილი
11. თეიმურაზ პირველი
12. პლატონ იოსელიანი


**რედაქციის მისამართი:** თბილისი, პუშკინის პასსაჟი

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი:** 8—04.

**კ ო ნ ტ ო რ ა ღ ი ა ა:** დილის 9—3 ს.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: **გიორგი ლეონიძე.**


### პირველ იანვრიდან მიიღება ხელის მოწერა

## ტიციან ტაბიძის წიგნებზე

### წიგნები გამოვა 6 ტომათ

I. **„ქალდეას ბალაზანი“ წიგნი ლექსების:**

1. ქალდეას ქალაქები. 2. ეფემერი მასკარადი
3. ორპირის სეზონი. 4. ცხენი ანგელოსით.

II. **გრიგოლ რობაქიძე.**

აპოლოგია.

III. **„ცისფერი ყანწები“**

იდეოლოგია და პორტრეტები

IV. **დაისრული სებასტიანე.**

კრიტიკული პროზა.

1. „ქართული იდეა“ 2 „პეტერბურგი“ ანდრეი ბელლის.
3. „ივანე მაჩაბელი“ 4 „ნიკო ფიროსმანი“
5. „ირონია და ცინიზმი“, პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში,
6. დაისრული სებასტიანე: (საქართველო და პოეზია).
7. „ლირიკის წისქვილი“ 8 „პოეტი და გარეგნობა“,
9. ასტრალი ძაღლი. 10. საქართველოს ირრედენტა.
11 მედეას პრობლემა. 12. სიმფონია ვაჟა ფშაველასი 13 თავადი ლოტრეამონ. და სხვა დაბეჭდილი და დაუბეჭდავი წერილები.

V. **ჟიულ ლაფორგ.**

წინასიტყვაობა, და თარგმანი „ფეერიული სობორო“

VI. **ეპოპეა: ტიციან ტაბიძე.**

ორპირის ოქროპირი.

პირველი სამი ტომი გამოვა 15 აპრილს, დანარჩენი სამი ტომი 15 ოქტომბერს. ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება ათი მანეთი ოქროთი ან სამი მილიონი ქართული ბონებით. ხელის მოწერა მიიღება ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) სასახლის კომენდანტთან. ხელის მომწერთ შეუძლიათ პირველად გადაიხადონ ნახევარი, მეორე ნახევარი 15 აპრილიდან. ხელის მომწერნი მიიღებენ განსაკუთრებულ ბარათს. წიგნები დარიგდება მხოლოდ ხელოვანთა სასახლეში გამომცემლობას აგენტები პროვინციაში არა ყავს...

### მეოცნებე ნიამორები

№ 9

**გრიგოლ რობაქიძე**—წმინდა ნინო: ხორალი
**პაოლო იაშვილი**—პავლე ინგოროყვას
**ტიციან ტაბიძე**—ნინა მაყაშვილს
**შალვა აფხაიძე**—ღამის პეიზაჟი
**რაჟდენ გვეტაძე**—ელამი სარკე
**ვალერიან გაფრინდაშვილი**—ყელსახვევის პოეტიკა
**ტიციან ტაბიძე**—ირონია და ცინიზმი
**სანდრო ცირეკიძე**—პოეტი და მკითხველი
**ვალერიან გაფრინდაშვილი**—ლირიკის ელიზიუმი
**ლადო გუდიაშვილი**—ჟურნალის ვინიეტკა
რედაქტორი: **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

### ტფილისი

ოთხშაბათი, 3 იანვარი, 1923 წ.

ჩვენი გაზეთის გამოცემა გადადის მეორე წელში. სხვა დროს შესაძლებელია ეს არც კი ყოფილიყო აღნიშვნის ღირსი, მაგრამ დღეს ისეთი ტეხნიკური დაბრკოლებები არსებობენ ბეჭდვის საქმეში, რომ ამას სჭირდება აღნიშვნა. ჩვენი გაზეთის პირველ მეთაურში ვსწერდით, რომ ჩვენი ორგანო იქნებოდა, ორგანო ეროვნულ კულტურის. რომ „ბახტრიონის“ ციხე-სიმაგრე ამ შემთხვევაში სიმბოლიურად ნიშნავდა ეროვნულ ციტადელის დაცვას. და პირველ ყოვლისა ეს უნდა ყოფილიყო ქართულ მწერლობის პრესტიჟის აღდგენაში, ჩვენ ვამბობდით, რომ მოურიდებლად გავამხელდით ეროვნულ ხორცმეტს, არც მის გაჭრას მოვერიდებოდით, იმავე ქართულ კულტურის დაცვისთვის. ჩვენთვის სულ ერთი იქნებოდა ახალი და ძველი—თუ მას ემჩნეოდა დაღი და შტამპი დიდი კულტურის და მხატვრულ მიღწევების. პირველი. სადაც მიგვიყვანა „ბახტრიონმა“, ეს იყო ვაჟა-ფშაველა. ჩვენ გამოუშვით განსაკუთრებული ნომერი მისი შემოქმედების და შემდეგ ეს გახდა ნიშანი შარშანდელ სეზონის დათავების. ვაჟა-ფშაველას სახელი გაისმოდა უკიდურესს მემარცხენე პოეზიის ფრონტზე და სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტმა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს შეუკვეთა ვაჟას მონუმენტი ძეგლი. ილია ჭავჭავაძის სიკვდილის 15 წლის თავი ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა აგრეთვე განსაკუთრებული ნომერით. ამ ნომერში დაბეჭდილია გრიგოლ რობაქიძის წერილი ილიას პროზაზე და სრული ობიექტივობით .უნდა ითქვას, რომ ეს პირველი წერილია, სადაც ილია ჭავჭავაძის შემოქმედება დაყენებულია ილიას ღირსეულ კრიტიკულ მაშტაბით.

ჩვენმა გაზეთმა, შეიძლება ითქვას, აღმოაჩინა ქართულ საზოგადოებისთვის ნიკო ფიროსმან, უკანასკნელი ხალხური გენია და შეკრიბა მასალები მისი ბიოგრაფიის, რომელსაც ეპოპეის ხასიათი აქვს.

ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ფიროსმან გამოვიდა გამორჩენილ და დავიწყებულთა სიიდან.

ჩვენი გაზეთის ინიციატივით მოეწყო არტურლეისტის იუბილე, რაც აღნიშნული იყო მილოცვაში; ამ იუბილეს ჰქონდა საერთაშორისო ხასიათი და ექნება ალბად რეზონანსიც. პირველად „ბახტრიონში“ დაიბეჭდა ტიციან ტაბიძის წერილი იაკობ ნიკოლაძეზე, რომელსაც მოჰყვა აგრეთვე იუბილე, რომელიც ბრწყინვალეთ იქნა გადახდილი.

რედაქციას გადაწყვეტილი აქვს და მკითხველები განცხადებაში წაიკითხავენ, რომ წელსაც გამოვა განსაკუთრებული ნომრები: ივანე მაჩაბელის, ნიკო ნიკოლაძის, გრიგოლ რობაქიძის, გიორგი სააკაძის, ბექა ოპიზარის, კანცლერ სოლომონ ლეონიძის, გრიგოლ ორბელიანის, პლატონ იოსელიანის, საბა ორბელიანის და სხ.

სათანადო დაფასება ამ პირთა არის გამაგრება ქართული კულტურის, რადგან სწორედ ეს პირები არიან ის ვეშაპები, რომლებზედაც სდგას ისტორიული საქართველო.

ყველაზე ნაკლებათ თვითონ ჩვენ გვგონია, რომ ქართულ კულტურისა და ხელოვნების წინ ჩვენი ჩვენი ვალი მოხდილია.

საქართველოში იმდენია სამუშაო რომ ლეგიონია საჭირო კულტურის მადნების მოსათხრელად და აღმოსაჩენად.

ჩვენი რედაქცია იმასაც უსვამს ხაზს, რომ ჩვენი გამოცემის შემდეგ ამ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს და დღეს რამდენიმე ორგანოა კვირეული: უეჭველია ეს კიდევ უფრო გაადვილებს ქართულ კულტურის შესწავლის საქმეს.

ამის გარდა ხდება აუცილებელი ლიტერატურული დიფერენციაცია, რაც აგრეთვე საჭიროა მწერლობისთვის.

ყოველი გამოცემა უეჭველია ცხოვრობს საზოგადოების და მკითხველების სიმპატიით და მზრუნველობით.

ჩვენ მოველით, რომ საზოგადოება არ მოგვაკლებს თავის ყურადღებას და დახმარებას და როგორც შარშან, ისე წელსაც მოგვცემს არსებობის საშუალებას, რომ გაკეთდეს ის დიდი საქმე ქართულ ეროვნულ კულტურის აშენების და შესწავლის, რომელიც არის აზრი ჩვენი არსებობის და რომელიც აგრეთვე სალვთო მოვალეობაა ყოველ შეგნებული ქართველის.

დიდი ხანია ყოველ წელს ქართულ ეროვნულ გამოცემათა მეპრესეები აღელვებული ხვდებიან ახალ წელს. ყოველთვის ჰგონიათ, რომ მათ რიგებს მიემატებიან ახალი ძალები, რომ ღირსეული სამსახური გაუწიონ ერს. საქართველო ათას ორათ ითვლის ასეთს წლეებს და დაითვლის კიდეც.

ჩვენ თაობას ცოტა დარჩენია შედარებით ცხოვრება რომ მისთვის ბედნიერება არ იყოს წმიდა შრომით თავგანწირვით დატიოს კვალი მუშაობის.

საქართველო და მისი ციტადელი „ბახტრიონი“ აუღებელი სიმაგრეა და ჩვენც ვიყოთ გარნიზონის სიმაღლემდე.

## ბახტრიონს

გაზეთი „ბახტრიონი“ მეორე წელიწადს იწყებს. გაზეთი პერიოდული ხდება, სხვა დამსახურებათა შორის, რომელზედაც ქვევით ითქმება, „ბახტრიონის“ გამარჯვება იმაშია, რომ ის პირველი, პერიოდული ლიტერატურის გაზეთია ჩვენში. ის რამოდენიმეთ მემკვიდრეა „ბარრიკადის“ უკანასკნელი განახლებას იწყებს ალმანახურ სისტემით.

„ბახტრიონი“ ახალ ლიტერატურის ფრონტზე იდგა. მართალია თანამშრომლებათ ირიცხებოდენ ჩვენი დამსახურებული მწერლებიც მაგრამ მათი თანამშრომლობა აიხსნებოდა ორმხრივი სიმპატიებით. თავი რომ გავანებოთ ნივთიერ სიძნელეს გამოცემისა დღეს, დიდ დამსახურებათ უნდა ჩაითვალოს, მასალების ღირსეული დარჩევა წმინდა ლიტერატურული გემოვნებით. გაზეთმა აიღო დამშვიდებული ტონი და, გარდა მწერლობის, უთუოდ იყო ხელოვნების ყველა დარგის დარაჯი. ამ გაზეთში ახალმა ქართულმა მწერლობამ საბოლოთ დაანახვა ქართველ მკითხველს, თავისი ეროვნული პოზიციები.

მართალია, გაზეთი არ იყო დეკლარატიული პოზიცია რომელიმე რევოლიუციური ჯგუფის ან შკოლის, აქ „ცისფერი ყანწელებიც“ სცდილობდენ ნეიტრალური ტონით ლაპარაკს, თუმც იყო შემთხვევები მძაფრი პოლიტიკის რომელსაც პასუხის ხასიათი ჰქონდა.

„ბახტრიონმა“ ბევრი საინტერესო პრობლემა დააყენა. მან აგრეთვე სრუ-


საქართველოს პარლამენტის

## ,,ბახტრიონის“ მილოცვა ქართულ თეატრს

,,ბახტრიონი“-ს რედაქცია, სიხარულით ანიშნავს ქართული თეატრის 73 წლის თავის დღესასწაულს, და ულოცავს მას ამ ძვირფას დღეს.

,,ბახტრიონი“ დღიდან დაარსებისა ყოველთვის ახლოს იდგა თეატრთან და სცდილობდა მისთვის საჭირო სამსახური გაეწია.

უკანასკნელი სეზონის დიდი გამარჯვება, ჩვენი მსახიობების გამძაფრებული მუშაობა, დიდი ენერგიის გამოჩენა ჩვენი რეჟისორების კონსტანტინე მარჯანიშვილის მეთაურობით, საუკეთესო საბუთებია თეატრის აღორძინებისა და გამაგრებისა.

რედაქცია, ვალდებულად ჰხდის თავის თავს, ღირსეულად ემსახუროს თეატრის ინტერესებს, ჩვენი ხელოვნებისა და კულტურის ასამაღლებლად.

**რედაქცია**

---

ლებით ახალი გაგებით დაგვანახა ქართული ლიტერატურის სახე; ილია ჭავჭავაძის ნომერი, ბევრი ახალის მოქმედი იყო, მეცხრამეტე საუკუნის დიქტატორის შესახებ. ვაჟა ფშაველას დიდების ,,კომპანია“ პირველად ბახტრიონმა დაიწყო, შემდეგ მას მოყვა ვაჟას საღამო ახალ მწერალთა კავშირით გამართული, რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა, და გაამძაფრა ვაჟასადმი სიყვარული.

,,ბახტრიონმა“ თითქოს მეორედ აღმოაჩინა ,,საწყალი ნიკო ფიროსმანი“ დაბეჭდა უამრავი მასალები მისი ცხოვრების შესახებ, რომელიც ახლა სავსებით გაშუქებულია. ეს მასალები დიდ დახმარებას გაუწევენ მომავალ მონოგრაფიას, რომელიც უკვე მზადდება. ბახტრიონი, არა თუ იყო საინტერესო ლიტერატურის ორგანო 1922 წელში არამედ ის უსათუოდ დარჩება ჩვენს ლიტერატურაში, როგორც პერიოდი.

ლექსების ნაწილი გაზეთში იყო მეტად მდიდარი. აქ იბეჭდებოდენ უმთავრესად ,,ყანწელები“, მათ არ შევეხები, მაგრამ ვიტყვი რომ ერთ საუკეთესო ლექსი წარსული სეზონის ,,მოგზაურობა ანთებით“ კ. ჭიჭინაძის დაიბეჭდა ,,ბახტრიონში.“ სასიხარულო იყო სანდრო შანშიაშვილის, მუდმივი თანამშრომლობა თავის ლექსებით. ხშირად ეწვეოდა თბილისს, და ბახტრიონში ისევ ახმაურდა დასვენებული ,,ალაზნის დევი დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ინფორმაციას, როგორც ქართულ უცხოელ ხელოვნებაზე რაც შეადგენს ყოველთვის გაზეთის ცოცხალ მხარეს.

გაზეთმა ბახტრიონმა და მისმა რედაქტორმა გიორგი ლეონიძემ, დაავალეს ქართული მწერლობა, და ძვირათ იქნება ქართველი, რომელიც არ უსურვებდეს ამ გაზეთს სიცოცხლეს, და გაძლიერებას.

ასეთის გრძნობით და სიყვარულით ვხვდები მეც ,,ბახტრიონის“ ახალ წელიწადს.

**პაოლო იაშვილი.**

---

### ოფელია ევრედიკა.

14 იანვარი. 1921 წელი.

სადამო ბრწყინავს. აელვარდა ცა უქარვესი.
ვით სომნამბულა ელოდება მთვარეს ბუნება.
კიდევ ხშირია მდინარეზე სხივთა ხარვეზი,
მაგრამ იწყება აჩრდილების ყრუ დაბრუნება.

ანგელოსები გამოდიან ცაზე გზირებათ.
კვლავ ოფელიას მომაჩვენებს ყალბი დაისი.
ჩემსკენ ლაფარულ მოკრძალებით ის იცქირება—
თითქო ვგონივარ მას ყეენი ილოდაისი.

ვით ევრედიკას ორფეუსი—მე ოფელიას
ვიხმობ დაისის მიუწდომელ ალურ ზღუდიდან.
ელიზიუმი უკეთესი სამყოფელია
და ჩემმა ტრფობამ მას წყურვილი ვერ გაუდიდა.

მეგონა: იგი აჩრდილების სადაისოდან
წამომყვებოდა: ვუმღეროდი ლექსებს მთვარეულს.
თუმცა ასულმა ალტაცება ლექსით იცოდა,
ვერ დავაშორე ფრთადახრილი წრეს სიზმარეულს.

ჰამლეტის ნიღაბს გავიკეთებ. წვიმის ასული
მე გამომყვება. მოგონება მაინც აწუხებს.
ვუცქერი იმას—მე—საკირის წრეს გადასული:
მაგრამ სიჩუმის უდაბური ხმა მიპასუხებს.

**ვალერიან გაფრინდაშვილი.**

---

# 1923 წლის ლიტერატურის ქრონიკები

ეს წელიწადი უფრო ბედნიერია წარსულ წელიწადებთან.

ამ წელიწადს მართალია არ შეუძენია არც ერთი ახალი სახელი მწერლის, მაგრამ მრავალმა უკვე ნაცნობი ერთხელ და სამუდამოდ დაიწმინდა და გამოჩნდა მთელი სიძლიერე ახალი მწერლობის. ამასთან მწერლობას ჩამოსცილდა ზოგი ძველი და ახალი სახელიც და ესეც მის ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს.

მაჭრობა მოთავდა. უკვე შესაძლებელი შეიქნა ობიექტიური შეფასება მისაღების და უვარგისის.

ცხადია რომ აღარ იყო საჭიროება მედგარი შეტევის. მოპირდაპირეებისთვის ნათელი იყო ვინ აგებდა ბრძოლას. თუმცა 1922-ში დამარცხებულს იარაღი არ დაუყრია, მაგრამ ის დარაზმულ და მწყობრ უკან დახევას აწარმოებდა.

რევოლიუციის თვისება განმეორდა ლიტერატურაში. უკან დახევას მოჰყვა ნაწილებათ დაყოფა, მაგალითების მოყვანა ადვილია: უკვე სამუდამოთ მოხდა გამიჯვნა და ვხედავთ განცალკავებულ ერთეულებს:

ეს ახასიათებს 1922 წელს.

ამ ერთი წლის განმავლობაში გამოვიდა ,,მეოცნებე ნიამორების“ ოთხი ნომერი, გაზ. ,,ბარიკადი“ ,,ბახტრიონი“ ,,ხომალდი“—ორი ნომერი, ,,ილონი“—ორი, გაზ. „ლომისი“, „პოეზიის დღე“ (ტფილისში, ბათუმში, ქუთაისში) სანდრო ცირეკიძის „მთვარეულები“, ნიკოლო მიწიშვილის „წმინდანიანი“, აკადემიური გამოცემები ვაჟა-ფშაველას და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების. წიგნი გრიშაშვილის მეორე ტომი და აგრეთვე მისი ლექსების წიგნი რუსულად „სხვაში“ და ზოგიერთ იმათ შორის რომელიც დავასახელე არის მხოლოდ წარსულის ფაქტი, მაგრამ გამოტოვება დანაშაული იქნებოდა.

წერილს აქვს უმთავრესად ინფორმაციის ხასიათი და არ მოეთხოვება აზრის სრული თქმა და კრიტიკა. ჩემი მიზანია უმთავრესად დადებითი მხარეების აღნიშვნა, მით უმეტეს, რომ წარსულმა წელიწადმა ეს დაიმსახურა.

**ლიტერატურული კვირეები და ხუთშაბათები.**

ერთის შეხედვით ლიტერატურული მუშაობის ცენტრი თითქოს იყო გადატანილი მწერლთა სასახლეში.

კავშირების საღამოებში უმთავრესად საინტერესო იყო კვირეები.

ახალ მწერლობის კავშირის საღამოებს ახასიათებდა წმინდა ესტეტიური ხაზი. ამ მხრით აღსანიშნავია გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის ტიციან ტაბიძის პ. ინგოროყვას და გიორგი ლეონიძის მოხსენებები.

პავლე ინგოროყვას ,,რუსთაველიანა“ პირდაპირ ეპოქალური იყო. ამის შემდეგ რუსთაველის სახელის წურბელების სამუდამოდ უნდა მოესპოთ წერის მადა.

ახალი მწერლობის ესტეტიურმა კვირამ პირველად გიმართა მთელი სიძლიერით ვაჟა-ფშაველა და მით საგრძნობლად გასწია ქართულ პოეზიის საზღვრები. ეს ერთი საღამოც საკმარისია იმისათვის, რომ ახალ მწერლობის კვირეები სრულიად დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ.

ძველი მწერლობის კავშირის ლიტერატურულ ხუთშაბათებში აღსანიშნავია ა. შანიძის და შ. ამირანაშვილის მოხსენებები.

**,,ხომალდი“**

1922 წელს, ,,ხომალდმა“ სულ სამი ნომერი გამოსცა. ჟურნალს წელს უმაგრებს კეთილშობილი ტრადიციები და აგრეთვე ის რამოდენიმე სახელი, რომელიც შერჩება ქართულ მწერლობას.

უპირველესად: ს. აბაშელი და ობოლი მუშა. ორივე გარკვეული სახის პოეტები არიან. პირველის დარბილებული უნაზესი ლირიკა და გაწმენდილი ლექსი, მეორის გამაგრებული რეკა და ქართული მწუხრი, აგრეთვე ზოგი ტექნიკური გამარჯვება ღირსეულათ ემატება ახალი ქართული პოეზიის მიღწევებს. ლეო ქიაჩელი, ვარლამ რუხაძე, იასამანი და გ. ქუჩიშვილი ჩვეულებრივათ ამაგრებდენ ყოველ ნომერს. აღსანიშნავია ახალ თანამშრომლებიდან: ხ. ვარდოშვილი, მ. ბოჭორიშვილი და დ. შენგელაია, რომ ხშირად ბანალობაში არ გადადიოდეს და ერიდებოდეს სხვის ტემებს. (,სალომეა“.)

,,ხომალდის“ სხვა დამსახურებათ, ემატება ჰოლა ლომთათიძის გამოტანა. (გაზ. ,,ლომისმა“-ც ცალკე № დაბეჭდა.) ეს ,,დავიწყებული და გამორჩენილი“ მწერალი ხელმეორედ იკრობს თავის ადგილს. სულ მალე იგი გახდება მასწავლებელი იმ მინიატურისტების, რომელნიც ბალასტით ავსებენ ქართულ მწერლობას ჩვენ გვჯერა, რომ ,,ხომალდი“ უფრო დაიწმინდება და ახალი ოქროთი მოადგება ქართულ პოეზიას.

**,,ლომისი“**

მხოლოდ 3 სექტემბერს გამოვიდა ძველი მწერლობის ორგანო ,,ლომისი“ მაგრამ თავიდანვე ეს დამსახურებული მწერლები სულ არ გამოჩენილან და გაზეთი დაიპყრო უნიჭო ახალგაზდობამ, რომელსაც მარტო ახალგაზდობა ვერას უშველიდა. ძუნწათ, მაგრამ მაინც წერდენ: კ. მაყაშვილი, გრიშაშვილი, შ. არაგვისპირელი, ხომლელი, რასაკვირველია, იმავე სტილითა და მანერით. გაზეთს საკუთარი სახე არა ჰქონია, მაგრამ შეძლებისამებრ ემსახურებოდა ქართულ მწერლობას.

ვიდრე გაზეთი გამოვიდოდა, არსებობდა ჟურნალი ,,ლომისი“ იგიც გაზეთის ორეული იყო. ამ ,,ვინეგრეტში“ ერთმანეთს სცვლიდა: გ. ტაბიძის ,,ლურჯი მონტევიდეო“ და ა. რუხაძის ბანალური მინიატურები. გაუგებარი და პედანტური წერილები ექსპრესსიონიზმზე და ია ეკალაძის კურიოზული რომანი: ,,კამკამაძე“ (მისი სტილი: ,,წაწყმდა... ცთომილ იქმნა კამკამაძე, ვით აბატი მერეზოლასი, ვით წმ. ანტონი ფლობერისა, ვით განდეგილი ჩვენი ილიასი (!)“

ჟურნალს რამოდენიმედ აკეთილშობილებდენ: კ. მაყაშვილი, ვ. ბარნოვი (,,ხაზართა სასძლო“.) სანდრო შანშიაშვილი (,,როდამ“) და შიო არაგვისპირელი.

**,,ილიონი“**

ილიონის ჯგუფს წარსულში მეტი ხმა ჰქონია, რაც მას შანშიაშვილი და სხვა ძალები გამოეცალა, იგი დაემგზავსა, სათავე გადაგდებულ წისქვილს. დღეს აქ ვხედავთ ჩამოთესლებულ ,,ლტოლვილებსაც“ რომელნიც სადაც კი შედიან, იქ აბნელებენ მწერლობას. საინტერესო იყო: გრ. რცხილაძის ,,აიდენილი ტიპები“, შ. ამირანაშვილის ,,ბერთუბნის მხატრობა“. აქვეა ისეთი დავარდნილი ხალხი. როგორც: ი. მჭედლიშვილი, მარიჯან, ტ. გრანელი, გარდელი და სხ. რა იქნება ილიონი მომავალში არ ვიცით, ეს კია, რომ გასულ წელს, ის იყო ,,ილიონი“ უნიჭობისა და ბანალობის...

**პოეზიის დღე**

ძველი მწერლობის გაზეთში ასანიშნავია: ს. აბაშელი, კ. მაყაშვილი, რუხაძე და ობოლი მუშა. მაგრამ აქ იმედები მაინც არ არი... აქ არის ეპიგონობა: სიმბოლისტების ,,ურბანისტების“, ნაროდნიკების და სხ.

მაგრამ ახალი მწერლობის საბჭოს გაზეთში დაცულია სტილი. აქ გარკვევით ჰხედამთ ძველის და ახალი მწერლობის ხაზს, თუმცა ,,ყალბი ადგილები“ აქაც არ აკლია. გაზეთს ხსნის ვ. კოტეტიშვილის საყურადღებო წერილი და ტიციან ტაბიძის სიყვარულის გიპერბოლებით მიმოხილვა. როგორც ყოველთვის აქვეა ნ. ლორთქიფანი-ძეს ,,დონკიხოტი“ ქართული პროზის.

ვალ. გაფრინდაშვილის ლექსი არის მეტაფიზიკური გაფატვრა და კონცეპციის გამძაფრება: ,,ცეცხლის სარკეში სამუდამოთ იწვის ჩიბისი, სტირის პარტერში უნუგეშოთ გრაფი სირბაილ“. აქ გაბრმაებთ გაშიშით გადმოსული ჩვენებანი პიმოდანის. ტიციან ტაბიძისის ,,მელიტა“-ში არის დარტყმა მათრახით. ,,ალექსანდრია... ყარაბულახი... ასტრალი წევარი, ღმერთი მელიტა. მოდვება ლექსი, როგორც ულაყი, მადონნა ავთარი, ,,ღმერთი მელიტა“ აქ გესმით ,,ცხენი ანგელოსით“-ის რიტმის ფანფარები, სხვათა შორის, აქ პირველად არის არა ბანალურათ შეყვანილი ქალი ახალ პოეზიაში.

,,ბედნიერი ლექსია“ პაოლო იაშვილის ,,ტანიტ ტაბიძე“ აქ არის ზედმეტი გამარჯვება. თითქოს მთელი ლექსი სცურავს ოქროში. ჩვენ აღარას ვიტყვით, რადგან ამ ლექსის გამარჯვება წარსული წლის სეზონში, ყველასათვის ცხადია.

საინტერესოა კოლაუ ნადირაძის ,,ასპინძის ომი“ და გიორგი ლეონიძის ,,მზე-ტაბასტა“ პირველში არის ცდა ეპიური ლირიკის მეორეში მოცემულია ნოყიერება და ბრწყინვალება. ტემებით ახალია ნიკოლო მიწიშვილის ,,ხატი ძათთაპირი“ და რაჟდენ გვეტაძის ,,ვირები“ გრ. ცეცხლაძის ,,პოეტის ყეფა“ იძლევიან შალვა კარმელის ,,რემბოს სიკვდილი“ ლექსის კულტურას და იმედებს,

ჩვენ განზებ გავინაპირეთ პოეტი შალვა აფხაიძე, რომელიც გასულ წელიწადს, ყველაზე საინტერესო იყო და ეს ბრწყინვალე გამარჯვება იწყობა სწორედ ამ ლექსით: ,,მისტიური დიალოგი რომელიც, მართლაც არის ,,მედიუმი“ ქართული პოეზიის. ,,ასე მგონია გადაესხა მთვარეს ქერძაფი. ებრძვის ოზობა საოცარი და ჭორფლიანი“. ეს დიალოლოგები მეტად კაპრიზიანია და ისტორიული. ესლექსიშედევრია ქართული პოეზიის.

**,,ბარიკადი“**

,, მარიკადი“ იყო მაგრი პოზიცია ფილისტერების წინაღმდეგ. ამ ორგანოს როლი ქართულ პოეზიაში ეპოქალურია და ეს თავის დროზედაც აინიშნება. გაზეთს რედაქტორობდა ტიციან ტაბიძე. რომლის ხელში ,,ბარიკადი“, იყო გილიოტინა მეშჩანობის.

ამ ოთხ ნომერში იყო სპეციალური წერილები ბლოკზე, დოსტოევსკზე შპენგლერზე. აღსანიშნავია ვ. გაფრინდაშვილის: ,,პეიზაჟი უკუღმა“ ტიც. ტაბისის ,,ქიმერიონი“ პ. იაშვილის ,,ყანწები 1942 წ.“ შ. აფხაიძის ,,თავისუფალი ლექსი“ და სხ.

გაფრინდაშვილმა დაბეჭდა შედევრი ,,პოეტის კარიერა“. ეს ლექსი მაშინვე გავარდა და იყო გამაგრება წარსული სეზონის. ლექსი მოულოდნელია და ტეხნიკით წისქვილის ფრთებსა ჰგავს. შემოქმედებასთან ის გამართლებულია ტეხნიკითაც. ვინც წარმოიდგენს ხუთი წლის წინად საქართველოში ,,ტეხნიკურ განდირებას“, ის გაიგებს, რომ გაფრინდაშვილმა ქართულ პოეზიას ჰყავს დიდი ოსტატი. ტიციან ტაბიძემ დაბეჭდა ,,ცხენი ანგელოსის“ მეოთხე თავი. მართალია ლექსი არ ეკუთვნის ამ სეზონს მაგრამ გასული სეზონიც ამ კოლონოზე იყო დაწოლილი ეს ლექსი მოვარდა როგორც მიწის ძვრა და მისი გუგუნი ისევ ჰყურებს ქართულ პოეზიას.

გრიგოლ რობაქიძე, (,,ალლას“ ,,მისტერია მზის“) პაოლო იაშვილი (გრიგოლ რობაქიძეს“) გიორგი ლეონიძე (,,სალრჩობელიდან“, ,,საქართველო“) კ. ნადირაძე (,,ასპინძის ომი“) შ. აფხაიძე (,,სიონში“) ჩვეულებისამებრ იყვნენ სიმაგრეები ,,ბარიკადის“.

ნიკოლო მიწიშვილმა, დაბეჭდა ორი უნაზესი ლექსი: ,,ჩიბის“ და ,,წამებული ბიოგრაფია“, რომელთაც მთელი მისი წიგნი (წმინდანიანი“) გააქვთ. ეს ლექსები მიწიშვილს საკუთარი მოჭრილი ფულია. აქვე იბეჭდებოდენ: ი. ყიფიანი და ლ. ასათიანი.

გაზეთს ჰქონდა მდიდარი ინფორმაცია და ორგინალური განყოფილება ,,ბაზელის ქრონიკა“.

,,ბარიკადის“ № 1 შივე იყო დაბეჭდილი დეკლარაცია, ,,ცისფერი ყანწების“, სადაც წამოყენებულია ტეზისი: პოეზია აყვანილი ეტნოგრაფიიდამ და ეროვნული პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო ამაგრებს ეროვნულ ბუნებას და ამართლებს ერსაც“.

**,,ბახტრიონი“**

გასულ წელს „ბახტრიონმა“ თავის მხრებზე გადიტანა მთელი სიმძიმე ქართული ლიტერატურის იმედიანი მუშაობის. თავის არსებაში (ივლისიდან.) იგი ატარებდა გარკვეულ ხაზს ახალი მწერლობისას გაზეთი იბეჭდებოდენ: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, შალვა აფხაიძე, კოლაუ ნადირაძე, ალი არსენიშვილი, გიორგი ლეონიძე, სანდრო ცირეკიძე, სერგეი კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, სანდრო შანშიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, გრ. ცეცხლაძე, ვახ. კოტეტიშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, იაკობ ნიკოლაძე, კ. ჭიჭინაძე, სანდრო ყანჩელი, არტურ ლეისტ, შ. და შოთა დადიანები, ირადიონ სონღული, კ. ზდანევიჩი, ახალგაზდა ქართველი პოეტები: მათ შორის: ლ. ასათიანი, პოეტესსა ნინა თარიშვილი, ,,ფაზელები“: ვიკტორ გაბესკირი, სტ. კასრაძე.

აღსანიშნავია ,,ბახტრიონის“ სამი დებიუტანტი პოეტესსა: ელენე ბერიშვილი, ნინა კოტეტიშვილი და მარიამ მაჭავარიანი. წლის განმავლობაში დაიბეჭდა სპეციალური ნომრები: ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველასი, იაკობ ნიკოლაძის, ნიკო ფიროსმანის, არტურ ლეისტის, რომელთაც პირდაპირ წიგნის პრეტენზია აქვთ. დაიბეჭდა კ. ჭიჭინაძის ,,მოგზაურობა ანთებით“ რომელიც დიდი შემატება ქართული პოეზიის. აქვე მოთავსებულია პავლე ინგოროყვას ეპოქალურ მოხსენებათა ,,რუსთაველიანა“-ს ციკლის რეცენზიები,

საგანგებო №№-ში თანამშრომლობდენ: ვ. ბარნოვი, სოფ. მგალობლიშვილი, ვალ. გუნია, თ. სახოკია. დამახასიათებელია: გრიგოლ რობაქიძის ,,ქართული პროზასთვის“ ვალერიან გაფრინდაშვილის ,,ორი სტიქია“, პაოლო იაშვილის ,,მაგარი შემოქმედება“, ტიციან ტაბიძის წერილები: ვაჟა ფშაველაზე, ნიკო ფიროსმანზე, იაკობ ნიკოლაძეზე, ილია ჭავჭავაძეზე და სხ. ალი არსენიშვილის „გამოგონილი საუკუნეები გიორგი ლეონიძის ,,ქართული მესსიანიზმი“, სანდრო ცირეკიძისა და სერგო კლდიაშვილის წერილები ქართულ პროზაზე. ლექსებიდან: გ. რობაქიძის ,,ვაჟაური“, ტიციან ტაბიძის: ,,ორპირის ოქროპირი“, ,,საგანელი“, ვ. გაფრინდაშვილის ,,ჩიბის“, ,,პარასკევი“, ,,ოფელიას დღესასწაული“, კ. ნადირაძის ,,მესსა“ და სხვა ლექსები, გიორგი ლეონიძის ,,ლიტანია“, ,,ეკლოგა“. ლექსები რაჟდენ გვეტაძის, შ. კარმელის, გ. ცეცხლაძის და რ. გოგოხიასი.

პოეტმა შალვა აფხაიძემ უკანასსნელათ დაიმკვიდრა პოეტური სახელი ,,ბახტრიონში“ დაბეჭდილი ლექსებით.

გაზეთი მეტად უხვი იყო ბიოგრაფიული მასალებით ნიკო ფიროსმანზე, აღსანიშნავია განყოფილება: ,,მოგონებებს და დოკუმენტები“, სადაც გამოქვეყნდა: ილია ჭავჭავაძის კერძო წერილები, სოლომონ ლეონიძის ახლათ აღმოჩენილი ორატორული სიტყვები, ბესიკის აღმოჩენილი (გიორგი ლეონიძისგან) ავტობიოგრაფიული ცნობები, გრიგოლ ორბელიანის წერილები და სხვა.

**„მეოცნებე ნიამორები“.**

ნამდვილი ლიტერატურული ჟურნალის შთაბეჭდილებას სტოვებდა „მეოცნებე ნიამორები“. გასულ წელს გამოვიდა ორი ნომერი. ეს არის ორგანო „ცისფერ ყანწების“-ს პოეტების. რედაქტორია ვალერიან გაფრინდაშვილი. არც ერთ გამოცემას არ ეტყობოდა ასეთი მზრუნველი ხელი და წმინდა ესტეტიკა როგორც ამ ჟურნალს.

ჟურნალში დაბეჭდილია ყველა ყანწელების ლექსები: ჟურნალი ყოველთვის იწყება გრიგოლ რობაქიძით.

სრულიად ახალი და დაულეველი ტემა აღმოაჩინა გრიგოლ რობაქიძემ, რომელიც იძლევა სიმწიფეს ფიროსმანის და ვაჟას საქართველოსას, აგრეთვე სრულიად ახალი ტემასთან მისვლით. მისი ხორალები მისტერიიდან „ჯვარი ვაზისა“ იძლევა დიდი პოეზიის მიღწევებს. პაოლო იაშვილის ლექსი „პავლე ინგოროყვას“ სუნთქავს პუშკინის ჰარონიით და სიყვარულით.

ვალერიან გაფრინდაშვილი ბექაოპიზარის ოსტატობით იძლევა ახალ სახეებს და ახალ ტეხნიკას პოეზიაში. მისი „ივანე მაჩაბელი“ ახალი უღელტეხილია მისი შემოქმედებისა. ექვეა დადაბეჭდილი პირველი თავი ტიციან ტაბიძია ლექსის „ცხენი ანგელოსით“ და იმავე ციკლიდან „სეზონის ფალავანი“ ორივე ლექსში ტიციან ტაბიძე სდვას როგორც ფალავანი. ჩვენ თვალის წინ იზრდება და მაგრდება შალვა აფხაიძე. ყველაზე ასანიშნავია პოეტის პირველი ხმის მონახვა და გამაგრება.

აქ დაბეჭდილია გიორგი ლეონიძის „ახალი მთვარე კახეთში“. ლექსი სუნთქავს იმავე კახეთის სინოყივრით უშუალობით და ზედ ემატება სრულიად ახალი ლექსის ტეხნიკა.

რაჟდენ გვეტაძეს აქვს მოცემული საუკეთესო თავისი შემოქმედების. ის ყოველდღე იმატებს ხმას და ახლოა საქართველოსთან, თუმცა მისი ტემა ასე უცხოა და ორიგინალური. მშვენიერია და კაპრიზიანი ლექსები ელენე დარიანის განსაკუთრებით წერილი ანნა ახმატოვას. იყვენ კიდევ დებიუტანტები: ლევან ასათიანს და გ. ზოლელი.

ჟურნალს ამაგრებენ შესანიშნავი წერილები ახალი პოეზიის ძიების: როგორც: ,,როია“ გრიგოლ რობაქიძე „ახალი მითოლოგია“, ვალერიან გაფრინდაშვილის და ,,ორპირის ოქროპირი“ ტიციან ტაბიძის.

**ქართული პროზა.**

1922 წ. ქართულ პროზას ღირებულებათა გადაფასება არ მოუხდენია. პოეზიაში ატეხილმა რევოლიუციიმ დააფიქრა ბელეტრისტები და თანდათანობით ხელი აალებინა წერაზე. გასულ წელს ნიკო ლორთქიფანიძემ დაბეჭდა დიდი მოთხრობა ,,ხელოვანთა ყავახანა“, ჩვეული სიძლიერით დაწერილი.

ვასილ ბარნოვი ჰზიდავს ერთგულად თავის მძიმე უღელს. წელს მან ცალკე წიგნათ დაბეჭდა საინტერესო ისტორიული რომანი ,,ხაზართა სასძლო“. შ. არაგვისპირელი სუსტს ნიმუშებს იძლეოდა

ახალი პროზა გააქვთ: სანდრო ცირეკიძეს (,,მთვარეულები“) და სერგეი კლდიაშვილს (,,დაბრუნება“) მაგრამ წლის განმავლობაში მათ უმთავრესად წამოაყენეს პროზის პრობლემა. ქართულმა პროზამ ისევ მოაგონა თავი მკითხველს. ნიადაგი უკვე შემზადებულია და 1923 წელს, იგი საბოლოოდ თავს დაიმკვიდრებს. ქართულ პროზას აქვს ბედნიერი ტრადიცია: განუყრელი სიახლოვე საქართველოსთან მომავალშიც ალბად ეს გზა ექნება.

**ქართველი ფუტურისტები.**

წლის მიმოხილვა არ იქნებოდა სრული, რომ არ მოგვეხსენებინა ახალგაზდები, რომელნიც თავის თავს ქართველ ფუტურისტებს უწოდებენ. მათ ბევრი გამოსვლები ჰქონდათ თბილისში, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა დეკლარაციებში, რომელთაც მთლიანი სისტემის ხასიათი არ ჰქონდათ. ეტყობათ, რომ მათ აქვთ თავისი სათქმელი, მაგრამ

ჯერ არაფერი დაუბეჭდიათ და ჩვენც მოკლებული ვართ მათს ღირსებაზე ლაპარაკის საშუალებას.

**გ. ტაბიძის ჟურნალი.**

ეს ჟურნალი იყო სურროგატი ,,თეატრი და ცხოვრების'', სადაც ასე კადნიერად იმხელს თავს ,,ქართული ხალტურა''. გ. ტაბიძეს აქვს თავისი წარსული, ამატომაც მას ,,ხარის'' ანდაზის უნდა ეშინოდეს. წრეულს, მან დაბეჭდა ,,ეფემერია'' და სხ. ლექსები, სადაც გადამღერებაა, როგორც სხვისი, ისე თავისი ტემების.

**პროვინცია.**

1922 წ. პროვინციაში სრული ლიტერატურული არარაობა იყო. თუმცა იქაც გამოდიოდა რაღაც ,,ჟურნალის დაგვარი'' (,,კანდელი'', ,,უქიმერიონი''), განსაკუთრებით პირველი იყო მატარებელი საშინელი უბადრუკობის. ორივეს გამართლება მითაც შეიძლება, რომ თბილისამდე ვერ ჩამოაღწიეს.

რასაკვირველია, აღნიშვნის ღირსიც არ არის ბათომში გამოსული აჭარისტანის (!) ,,მწერალთა პოეზიის დღე'', რომ იქ სრულიად შემთხვევით არ მოხვედრილიყვენ ზოგიერთი ავტორები...

30/XII. **გალლი**

## ქართული მხატრობა 1922 წ.

**1922** წ. ქართულ მხატვრობაში იყო იმედებისა და მოლოდინის წელიწადი. მხატვრობის და სკულპტურის იმ უფროსი თაობის ოსტატებს, რომელნიც ტონს აძლევენ მხატვრულ საქართველოს, გასულ წელს, თითქმის არ უმჟღავნებიათ თავისი თავი.

მხოლოდ ორი სუსტი გამოფენა და იაკობ ნიკოლაძის იუბილე იყო მაჩვენებელი მაჯისცემის. მაგრამ მეორე მხრივ, მხატვრობის აკადემია და მ. თოიძის სასტუდიო იძლევიან სამართლიან იმედებს ქართული მხატვრობის აყვავებისას.

დიდი იმედების მატარებელია ნიკოლაძის სამოქანდაკო კლასსიც.

საშინელი უსახსრობა, ტილოს და საღებართა უქონლობა ძალიან ავიწროებს მხატვრების მუშაობას. მისი შედეგი იყო, რომ მხოლოდ ერთი გამოფენა გაიმართა. იუბილეზე გამოფენილმა იაკობ ნიკოლაძის გიპსმა და მარმარილომ კიდევ ზედმეტად გვაჩვენა სიმდიდრე და ნაირობა შემოქმედის. ქართულმა საზოგადოებამ, ღირსეულად ადიდა ამ დღეს იუბილიარი. მეფური „აკაკი წერეთელი", ღვთიური „რუსთაველი", მთელი რიგი პორტრეტების და ფიგურების, იძლეოდენ უდიდეს შთაბეჭდილებას თანამედროვე ქართული სკულპტ. ნაყოფიერ პიონერზე.

ფიროსმანის სახელი ერთ წელიწადში გარდა ძვირფასი და ცნობილიც. „ცისფერი ყანწელებთან" ერთად, დიდი დამსახურება მიუძღვის მის წინაშე გიორგი ლეონიძის გაზეთს „ბახტრიონს" რომელმაც ფიროსმანი გასულ წელს, თითქმის მეორედ აღმოაჩინა. ფიროსმანის გარშემო ამ ჟამათ დიდი მუშაობაა. იკრიფება მისი სურათები, იწერება მონოგრაფია და ბიოგრაფია და ცალკე ადგილიც ეძლევა საქართველოს გალერეაში. მ. თოიძეს, ა. მრევლიშვილს, გ. გაბაშვილს, დ. შევარდნაძეს, სიდ. ერისთავს წრეულს არაფერი გამოუქვეყნებიათ. ალბად მათს სურათებს უხვად ვნახავთ მომავალ გამოფენებზე.

მხატვრების სეანსები სასახლეში, ძალიან სასარგებლოა. იგი უსათუოდ დიდ ნაყოფსაც გამოიღებს.

უჩვეულო სისწრაფით იზრდება მხატვრების სახეც. აქ ყველანი დიდს იმედებს იძლევიან: ირ. გამრეკელი, გველესიანი, ქ. მაღალაშვილი, კოტეტიშვილი, ერისთავი, ახვლედიანი დასხ.

აქ უნდა მივესალმოთ ირაკლი გამრეკელს, რომლის დეკორაციები („სალომეა") და სურათები იმედს გვაძლევენ, რომ ქართულ მხატრობას კიდევ ერთი ნიჭი ემატება.

პარიზიდან მოსული ცნობებით, გუდიაშვილი იქ ბრწყინვალედ იმარჯვებს და ყოველივე მოლოდინებს აჭარბებს. მხატვარი უკვე გაუწევიათ ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში. მისი სურათები უკვე ამშვენებს ევროპის დიდს გალერეებს.

დავით კაკაბაძე მუშაობს მხატვრობის თეორიულ საფუძველებზე. მან პარიზში დაბეჭდა წიგნი, რომელმაც დიდი სენსაცია მოახდინა. ამასთან მან დახატა სურათები: რეალიზმიდან უკიდურეს ფუტურიზმამდის. მწუხარებით უნდა აღინიშნოს შალვა ქიქაძის დაკარგვა საზღვარ გარედ.

ასეთი იყო ქართული მხატრობა **1922** წელს. როგორც ყოველი დარგი ქართულ ხელოვნების, ქართული მხატრობაც დღითი დღე იზრდება და ქართველოც მოკლე ხანში იხილავს თავისი ნიჭიერ შვილების მიერ შექმნის ახალს დიდებას.

**კირილ ზდანევიჩი.**

# დალი

ქართული ღმერთების პანტეონი

I

**ტყის მეფე ბობღია**

ულრან ტყის მეფეს ბობღიას, სახე მოღუშულს ავდრიანს
გადმოუწყვია თათებით, ჭრელად ოქროსფერ ფაფრიანს;
გამმით ხარხარებს, შესძახის მუხნარ-ნაძვნარებს აფრიანს.
ქორწილს აპირებს ქალისას, ფურკამეჩს დაჰკლავს ზაქიანს.

II

**დალი—ტყის დედოფალი**

სახელად ჰქვიან პატარძალს დალი ლამაზის სახისას;
გულს სიყვარულით უდაგავს ძე ხორციელსა ნახვისას.
მაჭაკალია აგუნა, ლოთი თხის-წვერებ-ნაცარა.
ჰყავს დამქაშები დამკვრელად ჩხიტა, ბუცო და ცანცარა.
სხვა თუ ბევრს დაალევინებს, იცოდეთ, საქმე დაცარა!

III

**დალის ქორწილის მოლოდინში**

რაკი გაიგეს ამბავი ქორწილიაო დალისა,
ეშურებიან მოვიდნენ, ღვინო დალიონ ლალისა.
ტყეში რომ მგლებმა გამოხარეს, ის რაშიც გაცოცხლებულა.
კუდიანები შემსხდარან, ბერიკაც მათთან ხლებულა.
ოქიანი-დევი ბუტბუტებს, იქ სადაც დიდი ხევია.
როკაპს ჯაგებზე ხტომისგან კაბა მთლად შემოჰხევია.
საფლავებიდან მგელკაცი ღამით მკვდრებს აღარ ალაგებს.
ბუ გაბერილი ჩხალებსა აძრობს გულმკერდში ჩანაგებს.
წყლით გადმომსხდარან გველკუვნი, ჯოჯოს თან ახლავს ამქარი:
ძაღლების ღმერთიც მობრძანდა ფრთიანი ალაშკანტარი.

IV

**ცა-ღრუბლის და ტარხის ღმერთი**

მარტო ვობია ცის ღრუბლებს თავის ნებაზე განაგებს
გულში სწყინს დალი თხოვდება, სხვა როგორ უამხანაგებს?
ბოლოს იმედობს: მას დარჩეს, საქმეს მოიგებს წანაგებს.
არ მივა იმათ ქორწილში, დაჰშლის კი ლხინის ბანაკებს.

V

ბობღია ზის და იცინის, მეფიონს მოელოდება,
რა იცის, მეფეს მოჰკლავენ და გული აუგლოვდება?!
იმისი ქალი სხვასა ჰსურს, სხვაზედვე გაუთხოვდება.
მაშ რისთვის დარბის როკაპი, კაბა რათ შემოჰხევია
ლამაზ ქალისთვის ჯერ სისხლი ხომ არვის დაუნთხევია?

VI

**დალის წუხილი**

დალი ლეჩაქის სამოსით, ნაწნავებ შემოხვეული
გამოსულიყო ტყის პირად, სად მუდამ იყო ჩვეული,
წყალს ჩასტიროდა წკრიალით, ეძახდა თავის დობილებს;
მდინარის ასულს ლივლიას, კიდევ სხვა ქალებს ცნობილებს.

VII

**წყლის ლანდალები**

შეიტყეს მისი წუხილი, მოცურდნენ ლამაზ-ლამაზნი;
ცელქნი და მოკისკასენი, როგორც ქურციკნი, გავაზნი.
ჰკითხეს: „რა გაგჭირებია? გვიამბე გარდასავალი!
„აქ ვერაფერი გიშველოთ, იქ, ჩვენთან მოგცეთ სავანი!
— დებო! არ იცით, მნიშნავენ! ცოლი ვიქნები მეფისა!
ვილაცა ქაჯთა უფროსზე, თვალიმც კი გამოეფისა!
წადით, უთხარით ვობიას, მოვიდეს ჩემთან იაროს!
ან წამიყვანოს თავისთან, ან მომკლას, დამაიაროს!
ინყუზას როგორ გავყვები, სული ვერ მიეთვისება.
ის არის ჩემი რაინდი, გრძნობა სიამით ივსება!

VIII

წავიდნენ, ნახეს ვობია. წამოსადეგი ვაჟია!
ღრუბლის სარეკი ეჭირა, სხენათელი კაჟია!
უთხრეს: „შენ რომ ხარ ღრუბლებში უდარდელ-განახარები,
ტყის დედოფალი დალაი იქ ნახე განამწარები!
ნიშანი მოგვცა მოგნახოთ: „მოვიდეს ჩემთან იაროს,
„ან წამიყვანოს თავისთან, ან მომკლას დამაიაროს!

IX

ვობიას დიდათ ეამა ჯერედ ამბავი დალისა,
მერე სტუმრობა რძლებისა და ზღვათა დედოფალისა!
დასხა და გაუმასპინძლდა, სუფრა მიართვა მრავლისა?
უთხრა: ჩემს გულში განა თუ ბოლმა არ იდგა ალისა?
უყურადღებოთ დავსტოვე ჩემი ღრუბლების გუნდები.
სოფლის ტაროსი იცვალა, ვხედავ და ამას ვრწმუნდები.
წვიმა ვერავის მივარგე, მიჯნურის სევდა მერია;
მის ოცნებაში გართულსა სხვები მზრახავდნენ: შტერია!
რაკი დასტური მივიღე, მე ვიცი მოსაგვარები;
ჯერ ერთმა შევძლო ინყუზას დავლეწო მკვიდრი ფარები.
არა და სხვასაც მოვიმხრობ, შეებნენ ჩვენი ჯარები.

X

**ღმერთების მოპატიჟება**

გამოეთხოვნენ სტუმრები ქანდაკებრ გამოსახულნი.
თვით გამობრუნდა, მოიხმო თვისი ერთგული მსახურნი.
ერთს უთხრა,-ნისლოს-სახელად თეთრპერანგ შესამოსიანს:
—წადი, მომგვარე კურატი მწყემს რო დაუდის ქოსიანს:
ჯანლოს კი უთხარ შავშუბლას, ლაშებდაშვებულს მებორგეს,
—ფრთები შეისხი, ისწრაფე, შეატყობინე მეგობრებს!
ანთარსა,—მინდვრის მეველეს, საქონლის მფარველს! ჯოგისას.
ამრას და აბზას—მეომრებს, თვით შენც იაზრებ ზოგისას.
ხახმატს, ლომისას, კოპალეს მრავალ ომშიგან ნაცადებს:
სტიქიონთ მეფეს აფიას, შენ იცი კოშკი სადაც ძევს,
ღვინის ღვთაებას აგუნას თავის დასტით და სწორებით.
უმისოდ ლხინი არ ვარგა, გუდა სავსე აქვს ჭორებით!
ყველას უთხარი მოვიდნენ, განამზადა—თქო ზვარაკი
ომის ღმერთს გუდანს მავედრონ, ეს არ ეგონოთ არაკი.

XI

**მსხვერპლშეწირვა**

ვერ დაეჭირათ ზვარაკი მწყემსებს თავგამოდებულებს
ზოგს ხელი ელრძო, ზოგს ფეხი იმის დევნაში ქებულებს
ხარია ლაღად ნამყოფი ტყავშიაც ველარ ტეულა.
საცრის ოდნა თვალები რისხვად და ცეცხლად ფრქვეულა
წინა ფეხს მიწას დაარტყავს, დამფთხალი კისერს ილერებს
თითქოს იგრძნოო სიკვდილი ღმუის და ყველას იგერებს.
მოაგდეს, სადაც სამსხვერპლო მზად იყო შემზადებული,
შორს ხეივანი ვაზისა ფერად მტევნებით მკობილი.
იქვე ხავსიან ლოდებზე ისხდნენ სტუმრები, ხარობდნენ,
ზოგნი ვობიას საქმისთვის გულით ხმამაღლა ცხაროდნენ
„რა გახდა ქაჯი ინყუზა!" ამრა და აზბა კმარობდნენ.
წამოდგა თვითონ ვობია ზვარაკის შესაპყრობელად.
ფანდი აილო სასროლი სიცოცხლის ჩასაქრობელად.
ერთხელ ესროლა, გაუცდა. შერცხვა და გაბრაზიანდა.
მეორედ გაჰკრა, წამოსცდა. რქები ხარს დაუზიანდა.
შებლავლა: რა გსურს პატრონო! გასწია, გაძალიანდა.
ვობია ჩასვა კოჭამდის, ყველა მნახველი ჰკვირობდა.
„ფანდსა გაგვიწყვეტს, წაგვივა" ვილაც ხმამაღლა ყვიროდა.
მსახურმა შუბი ატაკა, სისხლი დაიქცა, ილვარა.
იქ მარტო მწყემსი სტიროდა, სახე ცრემლებით ილარა.
შვიდს გაუჭირდა აწევა და მისი ცეცხლზე დადება!
კოჰლმა უშველათ ბოლო დროს, სხვა როგორ დაუვარდება!

XII

**ღმერთების ქეიფი**

კიდევ მოვიდნენ სტუმრები დაღლილნი სიარულითა:
დასხდნენ და სუფრას შეექცნენ ლხინით წრე-გადასულითა
,,მასპინძელ კარგად მასპინძლობს გულითა მხიარულითა!"
აილო ყანწი ვობიამ, ყველანი მოიხსენია;
ომის ღვთაება ადიდა, სთქვა: თუ ჩემს გულში სენია!
გუდანის მსხვერპლი შევწირე, მისდა მაქვს სავედრებელი.
სად გამიჭირდეს, მიშველოს, მყოს შურის მაძიებელი.
ყველანი ერთად წამოდგნენ, ერთხმად წარმოსთქვეს გალობით:
—გუდან! ვობია ამარჯვე, მას გადმოხედე წყალობით!"
კვლავ დასხდნენ, ქეიფს შეექცნენ, ღვინომ შიგდაშიგ ადუნა.
მოვიდა თავის დასტითა, სიმთვრალის ღმერთი აგუნა.
ყურძნის მტევნები ეკიდა. ხონჩა მოჰქონდათ ხილითა,
უკან მოსდევდნენ ქალები, შვენოდნენ თმითა შლილითა.
მიონა ვინკა და ირონ ვნებათა ღელვიანები,
ცეკვავდნენ ჟინის ამძვრელად, მღეროდნენ: მოგეზმანები!
ჩხიტამ, ბუცომ და ცანცარამ აგუნას კილო უმართეს,
როს შუაღამე შეიქმნა ჟინაშლილობას უმატეს!
ცეცხლი თანდათან ჩანელდა, მთვარემ ივახშმა გვიანა!
ქალთა კისკასმა ბუჩქებში მიდამო დაახმიანა.
ვინ ვის კალთაში ხარობდა, ამის გარჩევა არ იყო.
ღმერთი ასულის დევნაში ღრმა ხევში გადამხტარიყო.

XIII

**ომერ-ქალი**

ზეცა აინთო ალისფრად, სხივით დაიჭრა ქედები;
ყვავილის ეტლი გამოჩნდა, შიგ ებნენ თეთრი გედები.
ხელში ეჭირა ლამაზ ქალს ოქროს სირმისა ლვედები.
ვობიამ იცნო ასული, სთქვა: იგი ომერ ქალია.
გუდანის ტურფა მიჯნური, მაღალ ღმერთების რძალია!
მფარველი სიყვარულისა, თვით სიყვარულის ძალია.
სალამი მისცა მდაბალი, თუმცა ნახევრად მთვრალია!
ომერმა უთხრა: ჭაბუკო! ვარ მოგზავნილი მთხრობელი!
ომის ღვთაებამ გისმინა, შენი მტრისაა მგმობელი.
აჰა, ეს ხმალი გადმოგცა სიცოცხლის ჩამაქრობელი!
უნდა შეება ინყუზას ხვალე სიმამრთან მიმავალს.
სხვა დროს ვერ ავნებ ციხეში თუ იგი თავსა მიმალავს.

XVI

**ბრძოლა ინყუზასთან**

მეორე დილა გათენდა საომრად ემზადებიან;
ამრა და აბზა აჩქარდნენ, ერთს ადგილს ველარ სდგებიან;
კოპალეს კეტი უჭირავს განა თუ მცირე ჩილიკი?
აგუნა მთვრალი იძახის: მოდით, მე ვიცი ბილიკი!
თან ტიკჭორასაც დაათრევს, ბუცოს გადასცა ჩირი-კი.
აფიას მხარსა უმშვენებს მინდვრის მეველე ანთარი;
ლომისამ რაზმი დააწყო, ქაჯეთს შეებას, მზათ არი!

XV

ჩასაფრდნენ ულრან ადგილას, ინყუზას ელოდებიან;
შორს მაყრიონის ხმა ისმის, მახარობლებიც ჩნდებიან.
უკან მოსდევენ ქაჯები, ტანად სხვადასხვა გვარები;
ვობია ნეფეს გადუდგა: საქმე მაქვს მოსაგვარები.
დალის შენ როგორ გაგატან, თუ ცოცხლად დავიარები?
გინდა შუბები მკლავდამკლავ, გინდ მოვიხმაროთ ფარები.
ინყუზა ბრაზით აივსო ლახტი ესროლა გრეხილი:
—გიჩვენებ ჩემსა ურჩობას, გარბოდე კისერ-ტეხილი.
ზათქით ეკვეთნენ ერთმანეთს, იძროდა ქვა და ხეხილი!
კოპალე მისდგა მაყრიონს, ეშველებოდა ანთარი.
აგუნა იჰაჰებოდა: ღვინოს არ სვამენ, დაჰკარი!
ინყუზამ ხმალი გადმოჰკრა და მიაშველა მას ფარი,
ვობიამ შემოუქნია, მიახტა როგორც აფთარი!
თავმოკვეთილი ინყუზა შეხტა და ისევ დაეცა.
დაიხრიალა საბრალოდ, რაღა პასუხი გაეცა.
თავი გრძელ შუბზე ააგეს, გუდანს მადლობა უხადეს.
დალსა, ვობიას ქორწილი ზეიმით გადაუხადეს.

1922 წ. ქიზიყი, ჯუგაანი

**ხანდრო შანშიაშვილი**

## ახალწლის მიგებება საქართველოს სამეფო კარზე.

საქართველოს სამეფო კარზე ახალწელიწადს დიდის ზეიმით ეგებებოდნენ. სასახლის ყოველივე ხელისუფალი, თავიანთ სახელოს მიხედვით, მეფის და მის სახლეულის მორთვა-მოკაზმვას, ამ დღის შესახვედრად, ერთის კვირით წინ შეუდგებოდნენ. მსახურთ-უხუცესი მოლარეთ-უხუცესისაგან მოიღებდა ძვირფას საფენებს და მეფეს სადარბაზო ოთახს მოუფენდა. მონადირეთ უხუცესი მეფეს შემოსავდა ძვირფას ტანისამოსით: „მას წელიწდის თავს დღეს მეფე არავის(გან) შე(ი)მოსოს ამისგან კიდე, რომ მონადირეთ-უხუცესი ყვთლით ყაბარჩით შეიმოსების, საკელმოკლით, ტყავიანითა მოყვინთულითა, არა დია პრტყელად, თავსა და საყელოსა კარგისა ყუნდიზისა და მაღლად აშვერილსა, მჰალოდ შეკერილსა ქუდსა დაარქვამს".*) ამგვარად მორთულ მოკაზმულ მეფეს მაღალ სკამზე დასვამდნენ. საახალწლო ტაბლას, შუაზე ველურ ტახის თავით, წინ დაუდგამდნენ. ხელისუფალნი, თავიანთ სახელოს მიხედვით, მეფის გარშემო ზოგნი სდგებოდნენ და ზოგნი სხდებოდენ: „მკერვალთ-უხუცესი და ტყის მცველნი დასხდებიან და მეხელადეთ-უხუცესნი დგანანო".**) პირველად მეფეს, ცისკრის ლოცვის დაწყებამდე, ვაზირთა შორის უპირველესი, მწიგნობართ-უხუცესი უკვლევდა ჯვრით, ხატით და ძვირფას ნივთების მირთმევით.

მილოცვის შემდეგ მწიგნობართ-უხუცესი მეფე-დედოფალს ტკბილეულით „დააბერებდა". იმავე დღეს წირვის შემდეგ დაიწყებოდა მილოცვები ერისთავთა, ვაზირთა დარბაზის ერთა და სხვა ხელისუფალთა უმფროს-უმცროსობით.

ყოველი მომლოცველი მიართმევდა მეფეს მის სახელოს დამახასიათებელ სახის ძღვენს.

ხელოსანთა და ვაჭართა წარმომადგენელნი მილოცვისთანავე მიართმევდენ მეფეს თავიანთ ნაწარმოების საუკეთესო საგანს.

პირველად მეფეს ბაზიერთ-უხუცესი ულოცავდა ქორ-შავარდნით და ველური ტახის მოოქრულ თავის მირთმევით, შემდეგ მეჯინიბეთ-უხუცესი, შეკაზმულ ცხენს ოქრო-ვერცხლით შემკობილს. ამირ-სპასალარს მეფისათვის ძღვნად უნდა მიერთმია—ბურთი, ჩოგანი, ცხენი უკეთესი მოიღოს საგამგეოსა***) დადიანს საწელისწდისთავო ძღვნად უნდა მიერთმია; სამი ცხენი, ორი უკეთესი და ერთი სატალახე (იქვე). საწელისწდისთავო ძღვენი აგრეთვე ემართა ზოგიერთ მონასტრებსაც.

კარის გარიგებაში მოხსენებულია გელათური ძღვენი—„საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი და სატალახე ცხენი".*) დანარჩენ ხელისუფალთა მიერ მირთმეულ ძღვენის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, მხოლოდ ნათქვამია: „და სხვანი ოფიკალნი თავის-თვისთა შესატყვისა"-ო*) საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა შორის ერისთავთა შესახებ ნათქვამია, რომ ისინი ულოცავდნენ მეფეს „არა კეთილთა ცხენის მირთმევითო" ე. ი. ულოცავდენ გამხდარ და ჯაგლაგა ცხენებს.

გარდა ამისა, ყველა ზემოხსენებული მომლოცველნი მიართმევდენ მეფეს ისარს (უძველეს დროს) ანუ ტყვიას (შემდეგ) და წყევა-კრულვით მოიხსენებდნენ მეფის მტრებს, შემდეგ კი, სიტყვებით: მრავალ ჟამიერ ჰყოს ღმერთმან მეფობა თქვენი და ისარი ესე ანუ ტყვია განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულთა".***)

დიდ ხელისუფალთა შემდეგ ახალწელიწადს მეფეს ულოცავდნენ სრულიად დარბაზის ერნი, სამეფოს დიდებულნი და ბოლოს სპანი და ლაშქარნი.

სადღესასწაულო დარბაზობას მოყვებოდა დიდი პურობა, „დიდითა განცხრომითა და სახიობითა", რომელზედაც მიწვეულ იყვნენ სამეფოს საუკეთესო მომღერალნი, დამკვრელები და მოცეკვავენი.

იმართებოდა მოშაირეთა შეჯიბრება, ფალავანთა ჭიდაობა და საბელზე თამაშობა.

ამგვარ გასართობებით თავდებოდა ახალწლის პირველი დღე.

**) იქვე 1, 9.

*) ხელმწიფის კარის გარიგება 1, 24. ექვ. თაყაიშვილის გამოცემა 1920 წ.

***) კარის გარიგება 28, 334—335.

*) იქვე 28, 336—337.

**) ვახუშტის საქართვ. ისტ. გვ. 14. ბაქრაძის გამოც.

***) იქვე გვ. 14.

მეორე დღე განკუთვნილი იყო ნადირობისთვის.

ლაშქრობა-ნადირობას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ძველს საქართველოში. ამ გარემოებას ადასტურებს თვით ახალწლის წესებიც, სადაც მონადირეთ-უხუცესს და მის სახელოს უპირველესი ადგილი უჭირავს, ნადირობას ამ დღეს, გარდა სავაჟკაცო ასპარეზობისა და გართობისა, სამეკვლეო მნიშვნელობაც ჰქონდა, მასთან დაკავშირებული იყო დამდეგ წლის ყოველგვარი ბედნიერება. ახ წლის მეორე დღეს მეფე უფლისწულებით და დიდებულთა თანხლებით ნადირობდნენ, განსაკუთრებლივ მავნე ცხოველებზე.

ამგვარ ნადირობის მოსაწყობად ბაზიერთ-უხუცესი, ერისთავთა მიერ მორთმეულ „ახა კეთილ" ცხენებს დაახლოვინებდა წინა დღით და სანადიროდ ამორჩეულ მინდორზე დაჰყრიდნენ. ეს ადგილი შემოღობილი იყო და მეფის სადგომთან მოშორებით მდებარეობდა.

ლობის კარს ღამე განგებ ღიას სტოვებდნენ, რომ ლეშის სუნზე მავნე ნადირები შემოსულიყვნენ.

როდესაც სანადირო ალაგი ნადირით გაივსებოდა, სანადიროს მცველი დილა ადრიან ლობის კარებს ჩუმად მიხურავდა და იქ მყოფ ნადირებს შიგვე მოამწყვდევდა.

იმავე დღეს მეფე დიდებულთა თანხლებით ცხენებზე მსხდომარნი სანადირო მინდვრისაკენ გაემგზავრებოდნენ. მათ მისვლისთანავე ლობის კარებს გააღებდნენ და დამწყვდეული ნადირები გარედ გამოსცვივდებოდნენ. ამ დროს შეიქნებოდა თოფების და ისრების სროლა და ნადირთა ხოცვა.

რადგანაც ამ დღის ნადირობას სიმბოლიური ხასიათი ჰქონდა, ამიტომ ყველანი სცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ნადირი დაეხოცნათ.

ნადირის სახით მათ წარმოდგენილი ჰქონდათ თავიანთი მტრები, რომლებიც ახალწელსაც არ მოუსვენებდნენ და ამიტომ სურდათ მათზე წინასწარ გამარჯვება ედღესასწაულნათ.

ნადირობის შემდეგ სიმღერით და მოლხენით მეფე—დიდებულებით უკანვე ბრუნდებოდნენ „ესრედ იკვლევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიროდ".*)

ამგვარად ატარებდნენ ახალწლის რპირველ ორ დღეს სამეფო კარზე, თ ლამდენ დღეს გრძელდებოდა საახალწლო დღესასწაულს მოჰყვებოდა სახელმწიფოს საანგარიშო დავთრების გასინჯვა და შემოწმება.

მეფის დავალებით ამგვარი რევიზია მწიგნობართ-უხუცესს ჰქონდა მინდობილი.

ის თავის თანაშემწის, საწოლის მწიგნობრის თანხლებით, სავაზიროთა სალაროებს დაუვლიდა, გასინჯავდა საანგარიშო დავთრებს და სისწორით წარმოებულ საბუთებს დებექდვით ამტკიცებდა.

კარის გარიგებაში ამის შესახებ ნათქვამია ამილახორი, მეჰბრეთ-უხუცესი, ზარდახნის-უხუცესი და მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახანს შევლენ და ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ და საანგარიშო გოდორსა შიგან ჩასდებსო". (9 193-196)·

ამგვარი პირდაპირი ცნობები სხვა სავაზიროების შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, გარდა ერთი მოკლე ნაწყვეტისა რომელიც სამეფოს სალვინეს ეხება: „ანგარიში საანგარიშო გოდორთა შინა ძეს,ო (იქვე 20—239).

მაგრამ შეგვიძლია ჩვენ მაინც ვიფიქროთ, რომ საწოლის, საჰურჰლის და სხვათა სავაზიროთა მწიგნობარნიც ამგვარ ანგარიშებს ყოველწლიურად ადგენდენ და სახელმწიფოს „საანგარიშო გოდორში" ინახავდენ.

გარდა ამისა, სახელმწიფოს პასუხის მგებელ მოხელენი, როგორც იყვნენ მწიგნობარნი, საქმის ბეჯით და კანონიერ წამოებისათვის სახელმწიფო სალაროდან საახალწლო ჯილდოს იღებდენ: „ზარდახნის მწიგნობარმა ყოველ რაჲ ასწეროს წლისა თავსა, ერთი უნაგირი ზარდახნის მწიგნობარ უნდა მისცესო".*)

**სერგეი მაკლათია.**

*) ვახუშტი. საქართვ. ისტ, გვ. 14. ბაქრაძ. გამოც.

*) კარის გარიგება 10 204—205.

რედაქტორი: **გიორგი ლეონიძე.**

საფინანსო კომისარიატის საქართველოს დამუშულთა
ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ

# დიდი ლატარიის

მომწყობი კომისია ამით აცხადებს საზოგადოების და ლატარიის პროვინციის ქვე კომისიების საყურადღებოდ, რომ

## ლატარიის გათამაშება
## გ ა დ ა დ ე ბ უ ლ ი ა

1922 წ. 20 თებერვლისთვის.

ბილეთების გაყიდვა გრძელდება

ქ ო მ ი ს ი ა.

საქართველოს ტეხნიკური სააღმშენებლო

## ბ ი უ რ ო
## „ს ა ტ ს ა მ ბ ო"

მთავარი სამმართველო: ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 3, ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—ტფილისი, „სატსამბო", განყოფილებანი: ბერლინში ბუხარაში, ახალ სენაკში.

ყველა-**ელექტროფიკაციისათვის** ფერი

ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.

**რ. ს. ფ. ს. რ.** **ს. მ. უ. ს.**

სრულიად რუსეთის

# ამხანაგობა
# „მ ა ტ ყ ლ ი"

დაარსებული რ. ს. ფ. ს. რ. მატყლის დამმუშავებელი მრეწველობის

**სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა და ავტონომიურ ფაბრიკების მიერ.**

(გამგეობა მოსკოვი, ვარვარკა „დელოვოი დვორი" 5 შესასვლელი კარები მე-3 სართული)

**ძირითადი თანხა—10.000.000 მანეთი (ოქროთი)**

# ღებულობს

## განუსაზღვრელ რაოდენობით საწარმოო მატყლს

ნაღდი ანგარიშით, ან მატულის და ბამბის მანუფაქტურაზე გადაცვლით: (ნარმა, ჩითი, მიტკალი და სხვა).

# კანტორები

| | | |
|---|---|---|
| აზერბეიჯანი-ბაქო | რუ ლისი „გრუზშერსტ"-ი | როსტოვი-დონი |
| მთიულეთის რესპ. | (გოლოვინის პროსპ. | ხარკოვი |
| ნალჩიკი | სასურ'ათო სახ. კომისარ. | უფა |
| ასტრახანი | შენობა ოთახი № 11) | ეკატერინბურგი |
| ცარიცინი | | ტაშკენტი |
| სარატოვი | | სევასტოპოლი |
| | | ბუხარა |
| ორენბურგი | | მონგოლ ურგა |

სრულიად რუსეთის ამხანაგობა

## „მ ა ტ ყ ლ ი ს"
## რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი

ქალ. ტფილისში—ოტელ „ნოე" № 92; მიღება სწარმოებს საღამოს 5—7-მდე.